ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ფლობელობაში არსებულ ფართში განთავსებულია 12 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ისტ -ის ლაბორატორია, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 სამასწავლებლო, 1 სამედიცინო კაბინეტი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სპორტული დარბაზი და 1 მცირე დარბაზი ჩოგბურთის მაგიდით. საკლასო ოთახებში საერთო ჯამში განთავსებულია 73 ინდივიდუალური მერხი და სკამი (სკოლას ფლობელობაში აქვს სულ 136 მერხი და სკამი). ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კედელზე განთავსებულია დაფები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნაშრომები. ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დგინდება, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელია განთავსდეს 120 მოსწავლის მაგიდა და სკამი. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია • აზომვითი ნახაზები • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 1 მცირე სპორტული დარბაზი (50კვ.მ.) და ასევე მიმდებარე სივრცეში განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა. სკოლის ეზოში გამოყოფილია ფართი (ხელოვნურსაფარიანი), რომელიც ასევე გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ''ამხანაგობა46"-თან და ტურნირების დროს იყენებდა ლერმონტოვის ქუჩა N101-ში მდებარე სპორტულ მოედანს. ვიზიტის პერიოდში ხელშეკრულებას ვადა ჰქონდა გასული და მიმდინარეობდა ვადის გაგრძელების პროცედურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები • შესყიდვის დოკუმენტაცია • სასკოლო სასწავლო გეგმა
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში 1 საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელშიც განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები. ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი და გამწოვი. სასწავლო პროცესისთვის სათანადო ლაბორატორიული ინვენტარი და რეაქტივები დაცულია კარადებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ლაბორატორიების ფლობის დოკუმენტაცია • სასაქანლო ზედნადებები • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები • შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან გასაუბრება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია, რაც დასტურდება გადახდილი ქვითრებითა და ფაქტობრივი გარემოებით. სკოლას გაფორმებულია აქვს ხელშეკრულებები სოკარ ჯორჯიასთან, ენერგო პრო ჯორჯიასთან და შპს ბათუმის წყალთან. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. შენობის გასათბობად გამოიყენება ელექტროგამათბობლები (27) სანიტარული კვანძები განთავსებულია მესამე სართულზე 2-2 კაბინა გოგონებისა და ვაჟებისთვის. ერთერთი კაბინა ადაპტირებულია შშმ პირისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ელექტროენერგიის და წყლის გადახდის ქვითრები • სოკარ ჯორჯიასთან, ენერგო პრო ჯურჯიასთან და შპს ბათუმის წყალთან გაფორმებული ხელშეკრულებები • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 4820 წიგნადი ერთეული, მათ შორის ყველა საფეხურისა და საგნის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ელექტრონულად არის აღნუსხული. ასევე, შემუშავებულია და მოქმედებს წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები. ბიბლიოთეკაში გამოკრულია მუშაობის საათები და სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკარის მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლას ექსპერტთა მიერ მიეცა რჩევა იმასთან დაკავშირებით, რომ ბიბლიოთეკარის მოვალეობებში წიგნით მომსხურებასთან ერად გაიწეროს ასევე ისეთი აქტივობები, როგორიცა-კლასგარეშე კითხვის ორგანიზება, კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიების ჩატარება და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებშო წიგნიერების დონის ამაღლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები • წიგნის გაცემა-მიღების ფორმულარები • საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი • სასაქონლო ზედნადებები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის სკოლას შეძენილი აქვს სართულებზე ასასვლელ კიბეებზე მოძრავი პანდუსები. სკოლის მესამე სართულზე განთავსებულ სველ წერტილში დამონტაჟებულია სახელურები შშმ პირთათვის და შესასვლელი პანდუსი, სკოლას ამ ეტაპზე სსსმ და შშმ პირი არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები • პანდუსების ფლობის დოკუმენტაცია • მიღება ჩაბარების აქტები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული 9 კომპიუტერი და 4 ლეპტოპი, მათ შორის 5 კომპიუტერი განთავსებულია ისტ-ის კაბინეტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას აქვს ასევე 2 მულტიფუნქციური პატარა პრინტერი და 2 პროექტორი. სკოლას მიეცა რჩევა WI-FI -ს დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რაც ეფექტურად უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ლეპტოპების ინტერნეტით უზრუნველყოფას. სკოლის ვებგვერდზე http://franguliskola.com.ge/ განთავსებულია: სკოლის მისია, ისტორია, ინფორმაცია დირექციის და პედაგოგიური საბჭო შესახებ. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება და ექსპერტთა რეკომენდაციით გადაწყდა, სასკოლო საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისთვის, სხვა ინფორმაციასთან ერთად ვებგვერდზე განთავსდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სასკოლო სასწავლო გეგმა, წესდება, შინაგანაწესი და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლას აქვს facebook გვერდი, სადაც შექმნილია ჯგუფები კლასების მიხედვით და რომელიც ასევე ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლის ელექტრონული ფოსტაა: **frangulib@gmail.com**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი http://franguliskola.com.ge/ • სკოლის facebook გვერდი • სკოლის ელექტრონული ფოსტა **frangulib@gmail.com** • ვიზუალური დათვალიერების შედეგები • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადგინდა - სკოლის მიერ შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები, ორგანიზაციაში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსაქმებლის ვალდებულება, და სხვა. შემუშავებულია ხანძრსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, შრომის უსაფრთხოების გეგმა, სამუშაოების დროს უსაფრთხოებისათვსი განკუთვნილი პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE) და მათი ინსპექტირების წესები, რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია, სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია, საგანგებო სიტუაციების ნართვის გეგმა, სკოლამ წარმოადგინა ასევე: დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული თრობის შემოწმების აღრიცხვის ჟურნალი; პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი, პირადი დაცვის საშუალებების გაცემის აღრიცხვის ჟურნალი, პირადი და კოლექტიური დაცვის აღჭურვილობის დაზიანების აღრიცხვის ჟურნალი, პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი, ცეცხლმაქრების რაოდენობის და მდგომარეობის აღრიცხვის ჟურნალი, ხანძრის შემთხვევაში თანამშრომლების ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიშების ჩატარების აღრიცხვის ჟურნალი. შენობაში განთავსებულია წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (5) და გამოკრულია გასასვლელი მანიშნებლები EXIT.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და პირველადი სამედიცინო დახმარების მექანიზმები • ვიზუალური დათვალიერების შედეგები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის - საქართველოს მთავრობის დადგენილება №370 (დანართი N1) - სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ - თანახმად შემუშავებული ევაკუაციის გეგმები (4). სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექიმი (პედიატრი), რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ოთახში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლების კარადა, მაცივარი, მაგიდა, საკაცე, შირმა, დამონტაჟებულია ონკანი და გამოკრულია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის წესები და პროცედურები. ექიმის დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ იგი აღრიცხავს ჩატარებულ მიმართვიანობას და გაცემულ პრეპარატებს, წამლების ჩამოწერას და მიღებას. ექიმთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად გაწერილია მისი უფლება-მოვალეობები. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის შინაგანაწესში, რომელიც მოიცავს დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებსაც, ექიმის ვალდებულებები ძალიან მცირე ინფორმაციით არის შემოფარგლული, რასთან დაკავშირებითაც, სკოლას მიეცა რეკომენდაცია - შინაგანაწესში ვრცლად გაიწეროს ექიმის უფლება-მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სამედიცინო დახმარების მექანიზმები • სკოლის შინაგანაწესი • ჩანაწერების ჟურნალი • ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება • ექიმის პირადი საქმე
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად არის შემუშავებული და შესათანხმებლად გადაგზავნილია ბათუმის რესყურს ცენტრის უფროსსთან. 11 ოქტომბერი, 2022 წელი N15-12. სკოლამ წარმოადგინა ასევე დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–ამაღლებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სადამრიგებლო პროგრამები • შპს ,,ფრანგული სკოლის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; • გასაუბრების შედეგები • სკოლის შინაგანაწესი
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლისა და წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციებით დგინდება, რომ სკოლას აქვს უსაფრთხოების 9 კამერა, მათ შორის 3 უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს, ხოლო 7 შიდა პერიმეტრს აკონტროლებს. კამერების პარამეტრები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კამერების კონტროლს ახორციელებს სკოლის ადმინისტრატორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები • ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის ფლობის დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფრანგულ სკოლაში შემუშავებულია გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები წესდების და შინაგანაწესის სახით. წესდებით განსაზღვრულია სკოლის სტატუსი, მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი. განსაზღვრულია ასევე სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. წესდების IV თავი სრულად ეხება სკოლის ქონებას, დაფინანსებას, ანგარიშგებას, საბუღალტრო აღრიცხვას და სახელმწიფო კონტროლს. შპს ,,ფრანგული სკოლის“ შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ შპს ,, ფრანგული სკოლის“ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სკოლისათვის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლის მასწავლებლებზე, თანამშრომლებზე, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე და სავალდებულოა შესასრულებლად. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და სკოლაში დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შინაგანაწესს და აღნიშნული დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე შრომითი ურთიერთობის პირობები: სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი; დასაქმებულთა ჩაცმულობის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაო; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; . საშვებულებო ანაზღაურება; ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო; შრომითი ურთიერთობის შეჩერების გაფორმების და დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები. განსაზღვრულია ასევე სტრუქტურული ერთეულების უფლება მოვალეობები, თვითთმართველობის, როგორც სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები, საგნობრივი კათედრების ფუნქციები, სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოსა და დამთავრების დრო; დასვენების ხანგრძლივობა; წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობები; მოსწავლეთა ვალდებულებები; მოსწავლის წახალისება წარმატებისათვის; მოსწავლისათვის შეუფერებელი ქცევის შედეგები; შინაგანაწესის დამტკიცებისა და ცვლილებების შეტანის წესი და სხვა საკითხები, რითაც სკოლა არეგულირებს სასწავლო პროცესს. სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე: შპს ფრანგული სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესი“, კათედრის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი, სადამრიგებლო მუშაობის დებულება და მშობლებთან ურთიერთობის დებულება. შემუშავებულია ასევე სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია და სკოლის ექიმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამდებობრივი ინსტრუქცია. გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი მარეგულირებელი დოკუმენტები ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი • წესდება • შპს ფრანგული სკოლის ლაბორატორიით სარგებლობის წესი“ • კათედრის დებულება • პედაგოგიური საბჭოს დებულება • ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი • სადამრიგებლო მუშაობის დებულება • მშობლებთან ურთიერთობის დებულება • სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია • სკოლის ექიმის თანამდებობრივი ინსტრუქცია.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა 2019-2025 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების და 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები. გეგმები დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოადგინა ასევე 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაც, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (N01-01/12, 2022 წლის 6 სექტემბერი). 2019-2025 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია სკოლის მისია, მიზნები, განსახორციელებელი ამოცანები: • თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს ორგანიზება • სკოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა • მოსწავლეებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემა • სკოლის მმართველობა • უსაფრთხო, ორგანიზებული და კარგად დისციპლინირებული გარემოს შექმნა • სკოლაში არსებული ადამიანური, პროფესიული და ტექნიკური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა სკოლის მიზნების მისაღწევად • სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება • თვითშეფასებისა მონიტორინგის ფორმების შემუშავება. • სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება • მშობელთა ჩართულობა, მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გააქტიურება • მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება • სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ არის სტრუქტურირებული, არ მოიცავს შესრულების ინდიკატორებს, ვადებს, პასუხისმგებელი პირების შესახებ ინფორმაციას. სტრატეგიულ გეგმაში არ არის ასახულია გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია. წარმოდგენილი ერთწლიან სამოქმედო გეგმა კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად, მასში მოცემულია ჩასატარებელი საკითხები, პასუხისმგებელი პირები და შემსრულებლები, ჩატარების ვადები, ინდიკატორები. • სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება • სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესება • სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება • ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია • სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა • სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით. • უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა • მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში • მასწავლებელთა პროფესიული განვითარება • სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების გამოყენება წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და დახვეწას, ასევე მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, თუმცა მასში არ არის გაწერილი, შესასრულებელი კონკრეტული აქტივობები. ორივე დოკუმენტთან მიმართებით სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები - შეიმუშავოს ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც უნდა მოიცავს გრძელვადიან მიზნებს (არაუმეტეს 5-6) და რომლებიც ჩაშლილი იქნება ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნება დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. სამოქმედო გეგმაში გაიწეროს შესასრულებელის აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; • 2019-2025 სასწავლო წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია ერთიანი საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან. წესის მიხედვით, სკოლა აწარმოებს საქმისწარმოების ჟურნალებს: • შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალი • ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები • ანბანური წიგნი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ყველა ჟურნალი (წიგნი) ზონარგაყრილი და ბეჭედ დასმულია. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეების წარმოებაზე. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შემოსული და გასული კორესპონდეციების, • ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები; • ანბანური წიგნი • საქმისწარმოების ერთიანი წესი;
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	**☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ სტანდარტი დარღვეულია**

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის ჰყავს 35 თანამშრომელი, ერთი დირექტორი, ერთი დირქტორის მოადგილე, ერთი კომუნიკაციების მენეჯერი, ერთი ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ლაბორანტი, ერთი ექიმი, ერთი შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უსაფრთხოების სპეციალისტი, ერთი ბიბლიოთეკარი, 1 დამლაგებელი და 25 მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის სტრუქტურა • საშტატო განრიგი • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**25**
მოწვეული/მაძიებელი	**3**
უსტატუსო მასწავლებლი	**7**
უფროსი მასწავლებლი	**11+3 წერილი გაგზავნილია სტატუსის შეცვლის თაობაზე მასწავლებელთა სახლში**
წამყვანი მასწავლებლი	**1**
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფრანგული სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. 25 მასწავლებლიდან, 11 არის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 3 მასწავლებლისთვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად მოთხოვნაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გადაგზავნილი მასწავლებელთა სახლში. სკოლას ჰყანვს ასევე 1 წამყვანი, 3 მოწვეული და 7 უსტატუსო მასწავლებელი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში გაირკვა, რომ მასწავლებლები მომავალში გეგმავენ პროფესიულ წინსვლას, ხოლო ამ ეტაპზე მათთან გაფორმებულია კანონის შესაბამისი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ამონაწერი ემისიდან • მასწავლებელთა პირადი საქმეები • თანამშრომელთა პირადი საქმეები • თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები • საშტატო განრიგი და მასწავლებელთა სათობრივი დატვირთვა • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან • ინტერვიუ მასწავლებლებთან
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფრანგულ სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები რეგულირდება სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმედბლობასთან.კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №69/ნ 2020 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი. „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) ღია კონკურსი ცხადდება საჯაროდ www.teachers.gov.ge - ზე. შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა წახალისების ფორმები გამოიყენება სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში. შინაგანაწესის თანახმად დისციპლინური დევნა არის სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან დასაქმებულის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა და ის შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით. შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება აქვს ყველა თანამშრომელს რაც ხელშეკრულების გაფორმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. შესაბამისად უზრუნველყოფილია ყველა პროცესის გამჭვირვალობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შიანაგანაწესი • სკოლის წესდება • ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან.
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფრანგული სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება შეიცავს ზოგად დებულებას, ხელშეკრულების საგანს (მასწავლებლის შემთხვევაში, საგანი რომელსაც ასწავლის და სტატუსი), მხარეთა უფლება მოვალეობას, სამუშაო ადგილსა და დროს, დასვენების დროს, ანაზღაურების წესს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობის წესს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებსა და ხელმოწერას. ხელშეკრულებები ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ, ხოლო თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ყველა მათთგანს წარმოდგენილი აქვს ცნობები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის ნასამართლევი და არ აქვს ჩადენილი დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• გაფორმებული ხელშეკრულებები • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან/მასწავლებლებთან
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები (დებულება), რომლის მიზანია სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. მასწავლებლების ჩართული არიან კარიერული წინსვლის სქემაში, რომლის ფარგლებშიც ესწრებიან მასწავლებლის სახლის მიერ დაგეგმილ სტატუსის შესაბამის ტრენინგებს. მასწავლებლის სამოქმედო და კათედრების სამუშაო გეგმებში გაწერილია პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას მასწავლებლებს დაეხმარონ პროფესიულ განვითარებაში და საჭიროებისამებრ ჩაუტაროს უფასო კონსულტაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება -ბრ.#41 02.09.2022 • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი- 4/02/2020 • მასწავლებლის სამოქმედო გეგმა • კათედრის სამოქმედო გეგმა
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების და მათ მიერ ჩატარებული აქტივობების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ნამდვილად სუფევს ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას ემსახურება სკოლაში შექმნილი სტრუქტურული ერთეულები და ყველა მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრული წესები. მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ მათი შვილების უსაფრთხოებას და კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და საჭიროების შემთხვევაში უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს. მშობლებმა ისაუბრეს ასევე სკოლაში არსებულ ოჯახურ გარემოზე და ასევე იმის შესახებ, რომ მათი შვილები მშვიდ და პოზიტიურ გარემოში იღებენ განათლებას და რომ მათ ეძლევათ სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან მეთოდებს მათი მოტივაციის ასამაღლებლად. ისინი ხშირად მუშაობენ პროექტებზე, რაც მათ მრავალმხრივ განვითარებას ემსახურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

გვერდების რაოდენობა -53

თბილისი, 14.11.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.